

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

07. 07. 2016 წელი 75/2
----- ქ. თბილისი № -----

2016 – 2017 სასწავლო წლის დაწყებისა და სასწავლო პროცესის
დარეგულირების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურებზე სასწავლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016 – 2017 სასწავლო წელს სასწავლო პროცესი წარმართოს შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

1.1. 2016 – 2017 სასწავლო წელი უნივერსიტეტის ყველა აკადემიურ საფეხურზე დაიწყოს 2016 წლის 12 სექტემბერს

1.2. სააუდიტორიო მეცადინეობები დამთავრდეს 2016 წლის 24 დეკემბერს

1.3. ზამთრის საგამოცდო სესია ჩატარდეს 2017 წლის 09 იანვრიდან 2017 წლის 04 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები ჩატარდეს 2017 წლის 06 თებერვლიდან 11 თებერვლის ჩათვლით

- 1.4. 2016 წლის 30 დეკემბრიდან 2017 წლის 07 იანვრის ჩათვლით გამოცხადდეს საშობაო არდადეგები
- 1.5. სემესტრებს შორის არდადეგები გამოცხადდეს 2017 წლის 13 თებერვლიდან 18 თებერვლის ჩათვლით
- 1.6. 2016 – 2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი დაიწყოს 2017 წლის 20 თებერვალს და დამთავრდეს 03 ივნისს
- 1.7. გაზაფხულის საგამოცდო სესია ჩატარდეს 2017 წლის 05 ივნისიდან 01 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები ჩატარდეს 2017 წლის 03 ივლისიდან 08 ივლისის ჩათვლით
- 1.8. სააუდიტორიო მეცადინეობები ჩატარდეს ყოველდღე კვირის გარდა. ლექციები დაიწყოს 9.00 საათზე
- 1.9. აკადემიური საათი განისაზღვროს 50 წუთით, ხოლო მეცადინეობებს შორის შუალედი 10 წუთით
2. 2016 – 2017 სასწავლო წლის I სემესტრში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით ბაკალავრიატის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებმა ადმინისტრაციული რეგისტრაცია გაიარონ 2016 წლის 01 სექტემბრიდან 09 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო აკადემიური რეგისტრაცია - 12 სექტემბრიდან 24 სექტემბრის ჩათვლით.
- 3 2016 – 2017 სასწავლო წლის II სემესტრში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით ბაკალავრიატის აკადემიური სტუდენტებმა ადმინისტრაციული რეგისტრაცია გაიარონ 2017 წლის 01 თებერვლიდან 18 თებერვლის ჩათვლით, ხოლო აკადემიური რეგისტრაცია - 20 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით.
4. სტუდენტებს, რომლებიც ამ ბრძანების მეორე და მესამე პუნქტით დადგენილ ვადებში არ გაივლიან რეგისტრაციას, შეუჩერდეთ სტუდენტის სტატუსი.
5. სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი წესრიგდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს /გ. შალუტაშვილს, ო. ლითანიშვილს, გ. ცქიტიშვილს/ დაიცვან ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები და უზრუნველყონ ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის რეგისტრაციის ვადების ინდივიდუალურად გაცნობა.

7. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გაზეთში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.

8. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., № 6.

საფუძველი: უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
გადაწყვეტილება, ოქმი № 5
07.07.2016 წელი

რ ე კ ტ ო რ ი

გიორგი მარგველაშვილი